

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ხელშეკრულება საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის შესახებ

თარიღი

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი კრედიტის 55 დღის ვადაში დაფარვის შემთხვევაში ___%
- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი კრედიტის 1 წლის მანძილზე დაფარვის შემთხვევაში ___%
- ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი [თანხის სავაჭრო ობიექტებში ყოველთვე გახარჯვისას]: კრედიტის 55 დღის ვადაში დაფარვის შემთხვევაში ___%
- ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი [თანხის ბანკომატში ან/და ბანკში განაღდებისას], კრედიტის 1 წლის მანძილზე ყოველთვიური მინიმალური გადასახადებით დაფარვის შემთხვევაში ___%
- ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი [თანხის ბანკომატში ან/და ბანკში განაღდებისას], კრედიტის მე-2 წლის მანძილზე ყოველთვიური მინიმალური გადასახადებით დაფარვის შემთხვევაში ___%
- კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გაანგარიშებულია იმ დაშვებით, რომ საბარათე ანგარიშის გახსნისა და საკრედიტო ლიმიტის გაცემის (დაშვების) თარიღები ერთმანეთს ემთხვევა.

ფინანსური ხარჯები:

- ყოველთვიური მინიმალური გადასახადი: ბილინგის დღისათვის გახარჯული საკრედიტო ლიმიტის ___ პროცენტი, დარიცხული საპროცენტო სარგებელი და პირგასამტეხლო [მათი არსებობის შემთხვევაში].
 - საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის საკომისიო საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის პირველი წლისათვის: ___ ლარი, შემდგომი ყოველი წლისათვის ___ ლარი.
 - განაღდების საკომისიო [ბანკომატით]: თანხის __%, მინ. ___ ლარი.
 - განაღდების საკომისიო [ბანკში]: თანხის __%, მინ. ___ ლარი.

შენატანები განისაზღვრება გახარჯული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად.

დამატებითი სახელშეკრულებო ინფორმაცია და სხვა მოსალოდნელი ხარჯი

- საბარათე ანგარიშის გახსნის თარიღი:
- დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ოდენობა და ვალუტა: ___
- კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა კრედიტის მთლიანი თანხის გახარჯვის და კრედიტის ყოველთვიური მინიმალური გადასახადებით დაფარვის შემთხვევაში ___.

- კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა კრედიტის მთლიანი თანხის სავაჭრო ობიექტებში ყოველთვე გახარჯვის და კრედიტის 55 დღის განმავლობაში სრულად დაფარვის შემთხვევაში-
- საკრედიტო ლიმიტის გაცემის (დაშვების) თარიღი :
- საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ვადის დამთავრების თარიღი:
- გადახდის თარიღი - ბილინგის დღიდან 25-ე დღე.
- ბილინგის დღე - ყოველი კალენდარული თვის ___ რიცხვი.
- პირგასამტეხლო - ერთჯერადად ___ ლარი და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული დავალიანების __%, ამასთან, თუ საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის დროს დაშვებულ და გახარჯულ საკრედიტო ლიმიტებს შორის წარმოიშვა სხვაობა, აღნიშნულ სხვაობას, წარმოშობიდან ყოველ დღეზე დაერიცხება პირგასამტეხლო ___%-ის ოდენობით. ყოველდღიურად დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გახარჯული ლიმიტის 0.27 %-ს, აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტეხლო. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის ___-მაგ ოდენობას.

ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის ან/და საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ტარიფების განაკვეთები ან/ და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები ან/და ცალმხრივად შეამციროს საკრედიტო ლიმიტის ოდენობა. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცალმხრივად ცვლილების შესახებ ბანკი ორი თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - ერთი თვით ადრე ატყობინებს კლიენტს ბანკი ცვლილებების შესახებ შეტყობინებას კლიენტს უგზავნის წერილობით ან ელ. ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა სახით, ცვლილებების განხორციელებამდე ერთი თვით ადრე. ბანკი ასევე უფლებამოსილია, ვადაგადაცილების ან/და ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა პირობის დარღვევის შემთხვევაში, ცალმხრივად შეაჩეროს/გააუქმოს საკრედიტო ლიმიტი. ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები კლიენტმა შეიძლება წარადგინოს ზეპირად, სტანდარტული წერილობითი ფორმით, თავისუფალი წერილობითი ფორმით ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: info@vtb.ge

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა <http://.nbg.gov.ge/cp> და ცხელ ხაზზე +995 (032) 2406 406

ხელშეკრულება საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის შესახებ

ქ. _____

თარიღი

ერთი მხრივ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ [შემდგომ „ბანკი“], წარმოდგენილი _____ სახით, მოქმედი მინდობილობის საფუძველზე და მეორე მხრივ _____ [პირადი ნომერი: _____] [შემდგომ „კლიენტი“], ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

წინამდებარე ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს „საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ძირითადი პირობები“, რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე www.vtb.ge, განყოფილებაში - „ხელშეკრულებები“. აღნიშნული პირობები განსაზღვრავს საკრედიტო ლიმიტის დაფარვის წესს, ტერმინებს, მხარეთა შორის კომუნიკაციის წესს და შესასრულებლად სავალდებულო სხვა უფლება მოვალეობებს. ხოლო საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ტარიფები განთავსებულია <http://ge.vtb.ge/personal/cards/credit/231277/>

1. საკრედიტო ლიმიტის ძირითადი პირობები და საპროცენტო განაკვეთები

- 1.1. დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ოდენობა: ____
- 1.1¹. კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა კრედიტის მთლიანი თანხის გახარჯვის და კრედიტის ყოველთვიური მინიმალური გადასახადებით დაფარვის შემთხვევაში ____
- 1.1². კლიენტის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა კრედიტის მთლიანი თანხის სავაჭრო ობიექტებში ყოველთვე გახარჯვის და კრედიტის 55 დღის განმავლობაში სრულად დაფარვის შემთხვევაში ____
- 1.2. საკრედიტო ლიმიტის გაცემის [დაშვების] თარიღი : ____
- 1.3. საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ვადის დამთავრების თარიღი: ____
- 1.4. საბარათე ანგარიშის გახსნის თარიღი: ____
- 1.5. შენატანები განისაზღვრება გახარჯული თანხისა და დაფარვის ვადების შესაბამისად.
- 1.5¹ კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ფიქსირებული
- 1.6. კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი კრედიტის 55 დღის ვადაში დაფარვის შემთხვევაში ____%
- 1.6¹. კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი კრედიტის 1 წლის მანძილზე დაფარვის შემთხვევაში -
- 1.7. ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი [თანხის სავაჭრო ობიექტებში ყოველთვე გახარჯვისას]: კრედიტის 55 დღის ვადაში დაფარვის შემთხვევაში ____%
- 1.8. ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი [თანხის ბანკომატში ან/და ბანკში განაღდებისას], კრედიტის 1 წლის მანძილზე ყოველთვიური მინიმალური გადასახადებით დაფარვის შემთხვევაში ____%
- 1.9. ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი [თანხის ბანკომატში ან/და ბანკში განაღდებისას], კრედიტისმე-2 წლის მანძილზე ყოველთვიური მინიმალური გადასახადებით დაფარვის შემთხვევაში ____%
- 1.10. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გაანგარიშებულია იმ დაშვებით, რომ საბარათე ანგარიშის გახსნისა და საკრედიტო ლიმიტის გაცემის (დაშვების) თარიღები ერთმანეთს ემთხვევა.
- 1.11. საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის პერიოდში, კლიენტი უფლებამოსილია, ბანკს მიმართოს გახარჯული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში სამომხმარებლო სესხის გაცემის მოთხოვნით, მიმართვის მომენტში ბანკში მოქმედი პირობების შესაბამისად. ამგვარი მოთხოვნის ბანკის მიერ დაკმაყოფილების შემთხვევაში, გაცემული სამომხმარებლო სესხი მიმართულ იქნება გახარჯული საკრედიტო ლიმიტის სრულად ან ნაწილობრივ დასაფარად, რის შემდგომაც საკრედიტო ლიმიტი სრულად უქმდება ან მცირდება. ამასთან, ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს და შემთხვევაში, მიზეზის მითითების გარეშე, უარი თქვას კლიენტის ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2. ძირითადი დებულებები

2.1. ყოველთვიური მინიმალური გადასახადი: საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისას კლიენტის მიერ გადახდის თარიღამდე გადასახდელი თანხის ოდენობა, რომელიც შეადგენს დაშვებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ბილინგის დღისათვის გახარჯული საკრედიტო ლიმიტის — პროცენტს, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს და პირგასამტეხლოს [მათი არსებობის შემთხვევაში]. ამასთან, თუ გახარჯული ლიმიტი აღემატება დაშვებულ ლიმიტს, მინიმალური გადასახდელი სრულად მოიცავს მათ შორის სხვაობას.

2.2. თუ კლიენტი შემოიტანს/ჩარიცხავს თანხას საბარათე ანგარიშზე და იმ მომენტისათვის მას გააჩნია დავალიანება [დარიცხული საპროცენტო სარგებელი ან/და პირგასამტეხლო], ბანკი უფლებამოსილია, რომ შემოტანილი/ჩარიცხული თანხები მიმართოს დავალიანების დასაფარად, მიუხედავად იმისა, მოსულია თუ არა გადახდის თარიღი.

2.3. მინიმალური გადასახადის ყოველთვიურად დაფარვა სავალდებულოა გადახდის თარიღამდე¹, გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში განხორციელებულად ჩაითვლება, თუ შესაბამისი თანხები კლიენტის მიერ გადახდილი იქნება გადახდის დღის 24:00 საათამდე (თბილისის დროით)

2.4. პირგასამტეხლო: ერთჯერადად — და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის —%, ამასთან, თუ საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის დროს დაშვებულ და გახარჯულ საკრედიტო ლიმიტებს შორის წარმოიშვა სხვაობა, აღნიშნულ სხვაობას, წარმოშობიდან ყოველ დღეზე დაერიცხება პირგასამტეხლო —%-ის ოდენობით. ყოველდღიურად დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გახარჯული ლიმიტის 0.27%-ს, აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტეხლო. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის —-მაგ ოდენობას.

2.5. „გადახდის თარიღი“ - ბილინგის დღიდან 25-ე დღე. თუ აღნიშნული თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ გადახდის თარიღად მიიჩნევა შემდეგი სამუშაო დღე.

2.6. „ბილინგის დღე“ - ყოველი კალენდარული თვის — რიცხვი.

2.7. საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის საკომისიო ბარათით სარგებლობის პირველის წლისათვის — ყოველი შემდგომი წლისათვის: —. აღნიშნული საკომისიო კლიენტს ჩამოეჭრება ყოველი ერთწლიანი პერიოდის დაწყებისთანავე. პირველი წლისთვის საკომისიოს ჩამოჭრა ხორციელდება ლიმიტის დაშვებისთანავე, ხოლო ყოველი მომდევნო წლის საკომისიოს ჩამოჭრის მიზნებისთვის ვადა აითვლება საბარათე ანგარიშის გახსნის თარიღიდან.

2.8. დოკუმენტაციის წარმოდგენის ხარჯი: — ლარი. თუ დოკუმენტაციის წარმოდგენის ხარჯი აღმოჩნდება წინამდებარე ხელშეკრულებისაგან განსხვავებული ოდენობის, მსესხებელი უფლებამოსილია ამის შესახებ აცნობოს ბანკს, რათა მოხდეს ხელშეკრულებაში მითითებული ინფორმაციის, მათ შორის ეფექტური საპროცენტო სარგებლის კორექტირება.

2.9. განაღდება საკომისიო [ბანკომატით]: თანხის —%, მინ. — ლარი.

2.10. განაღდება საკომისიო [ბანკში]: თანხის —%, მინ. — ლარი.

2.11. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროცენტო სარგებლის ან/და საკრედიტო ლიმიტით მომსახურების ტარიფების განაკვეთები ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები ან/და ცალმხრივად შეამციროს საკრედიტო ლიმიტის ოდენობა. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცალმხრივად ცვლილების შესახებ ბანკი ორი თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - ერთი თვით ადრე აცხობინებს კლიენტს წერილობით ან ელ. ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით. ბანკი ასევე უფლებამოსილია, ვადაგადაცილების ან/და ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა პირობის დარღვევის შემთხვევაში, ცალმხრივად შეაჩეროს/გააუქმოს საკრედიტო ლიმიტი.

2.12. საკრედიტო ლიმიტი საბარათე ანგარიშზე დაიშვება მთლიანად და ერთჯერადად.

2.13. კლიენტი ადასტურებს, რომ მას წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცა Visa Classic/Visa Gold ბარათი და ბანკი მოემსახურება კლიენტს შესაბამისი ტარიფებით.

2.14. ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები კლიენტმა შეიძლება წარადგინოს პროცესებისა და მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ჯგუფში, წერილობითი ან ელექტრონული ფოსტის

¹ თუ გახარჯული ლიმიტი აღემატება დაშვებულ ლიმიტს, მათ შორის სხვაობის დაფარვის ვალდებულება კლიენტს ეკისრება სხვაობის წარმოშობისთანავე და მისი გადახდის ვალდებულება არ გადაადდება გადახდის თარიღამდე.

[info@vtb.ge.] მეშვეობით თავსართში მითითებული გზით. პრეტენზიაზე პასუხი გაცემული იქნება პრეტენზიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. პრეტენზიების განხილვის პროცედურა შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.vtb.ge.

3. განსაკუთრებული პირობები

3.1. ბარათის დაკარგვის/დაზიანების/ვადის გასვლის/კლიენტის სურვილის შემთხვევაში, მისი განახლება მოხდება კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე. ბარათის განუახლებლობა არ აჩერებს პროცენტის/პირგასამტეხლოს დარიცხვას და არსებული დავალიანების დაფარვა გრძელდება წინამდებარე პირობების შესაბამისად.

3.2. კლიენტისთვის ცნობილია, რომ ბანკი პასუხს არ აგებს არასანქცირებულ ოპერაციებზე, რომლებიც შესრულებულია მესამე პირის მიერ ბარათის დაკარგვის/მოპარვის/არასანქცირებული წვდომის ფაქტის კლიენტის მიერ გაცხადებამდე.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ[ებ]ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების კლიენტისგან ამოღების მიზნებისათვის, კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს კლიენტთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს.

3.4. ბანკი უფლებამოსილია გადასცეს კლიენტთან და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს, ბანკის მიერ კლიენტის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.

3.5. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.

3.6. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით კლიენტი აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ ბანკმა კანონმდებლობით დადგენილი წესით კლიენტის იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის ან/და საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად, საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.

3.7. კლიენტისთვის ცნობილია, რომ ბანკი შეაგროვებს/დაამუშავებს მის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით [სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები]. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის სასესხო/ გარესაბალანსო ვალდებულებების მოქმედების პერიოდში განახორციელოს კლიენტის საკრედიტო, არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაციის გადამოწმება ბიუროში კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, ამ უკანასკნელის გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.

3.8. ბარათთან დაკავშირებით მხარეთა სხვა უფლებები და მოვალეობები ასევე რეგულირდება საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ძირითადი პირობებით, აღნიშნულ პირობებს და წინამდებარე ხელშეკრულებას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება წინამდებარე პირობებს.

3.9. თუ კლიენტის მიერ სრულად და ჯეროვნად სრულდება საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის პირობები, საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ვადა გრძელდება ერთი წლით. ეს წესი მოქმედებს ყოველი ერთწლიანი პერიოდის დასრულების შემდეგ. ამასთან, ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს და შემთხვევაში, მიზეზის მითითების გარეშე, უარი თქვას საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ვადის გაგრძელებაზე. ბანკის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ვადის გასვლის შემდგომ დღეს კლიენტი ვეღარ შეძლებს ისარგებლოს დაშვებული საკრედიტო ლიმიტით და ვალდებული იქნება 1 დღის ვადაში სრულად დაფაროს ვადის ბოლო დღისათვის გახარჯული ლიმიტი, მასზე დარიცხულ პროცენტთან და პირგასამტეხლოსთან [ასეთის არსებობის შემთხვევაში] ერთად. აღნიშნულ შემთხვევაში ვადაგადაცილებად ჩაითვლება ვადის გასვლის თარიღიდან 48 საათში კლიენტის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა და გახარჯულ ლიმიტზე გაგრძელება პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა.

3.10. ყოველგვარი ექვის გამოსარიცხად, თუ კლიენტი ვადის გასვლის შემდგომ დღეს ვედარ შეძლებს ისარგებლოს დაშვებული საკრედიტო ლიმიტით, ნიშნავს რომ ბანკმა უარი თქვა საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის ვადის გაგრძელებაზე. აღნიშნულის შესახებ კლიენტს ასევე ეცნობება სარგებლობის ვადის დასრულებიდან 5 დღის განმავლობაში 2.11 პუნქტით განსაზღვრული ფორმით.

3.11. ბანკს ენიჭება უფლებამოსილება კლიენტის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერ[ებ]ზე, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე შემდგომ, გააგზავნოს ბანკის საარეკლამო/საინფორმაციო შეტყობინებები ყოველგვარი შინაარსობრივი შეზღუდვის გარეშე. შეტყობინება შეიძლება გაგზავნილი იქნას როგორც ბანკის, ისე ბანკის მიერ შერჩეული მომსახურე კომპანიის მიერ.

3.12. კლიენტისათვის ცნობილია, რომ ბანკის წინაშე ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანების არსებობის შემთხვევაში, როდესაც დავალიანების დასაფარი თანხა საკმარისი არ არის ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, კლიენტი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს ვალდებულებათა დაფარვის რიგითობა. თუ კლიენტი არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას დავალიანების დაფარვისას, კერძოდ, დავალიანების დაფარვის დოკუმენტში არ იქნება განსაზღვრული ვალდებულებათა დაფარვის რიგითობა, მაშინ ბანკი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს აღნიშნული რიგითობა.

3.13. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებები, მათ შორის, მიმდინარე ანგარიშების დაყადაღება, კლიენტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მძრავი ქონების, ასევე უზრუნველყოფის საგნის დავალიანების დასაფარად რეალიზაცია და სხვა.

4. დასკვნითი დებულებები

4.1. კლიენტს ეკისრება ვალდებულება, რომ მინიმალური გადასახადის შესახებ ინფორმაციას გაეცნოს ინტერნეტ ბანკში, მისთვის გადაცემული მომხმარებლის სახელის და პაროლის გამოყენებით.

4.2. ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინებები კლიენტის მიერ ჩაითვლება მიღებულად თუ ტელეფონის ნომერი გამორთულია ან გასულია მომსახურების ზონიდან, ან თუ ტელეფონის ასეთი ნომრით აღარ სარგებლობს კლიენტი და ახალი ნომრის შესახებ მას ბანკისათვის წერილობით არ უცნობებია.

4.3. ნებისმიერი დავა, გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან [მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან], ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ [საიდენტიფიკაციო N 205267389], რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.

4.4. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია [მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.] ჩაითვლება ჩაბარებულად [შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით].

4.5. წინამდებარე ხელშეკრულებით მხარეთა შორის გათვალისწინებული ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.6. მხარეთა შორის ურთიერთობა/კომუნიკაცია განხორციელდება ქართულ ენაზე.

4.7. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სახელმძღვანელო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2).

5. მხარეთა ხელმოწერები

ბანკი	კლიენტი
<p>სს "ვითიზი ბანკი ჯორჯია" ს/ნ 202906427 საბანკოსაქმიანობის ლიცენზია N226ა სახელი, გვარი info@vtb.ge ცხელი ხაზის ნომერი: (995 32) 2242424</p>	<p>სახელი, გვარი პ/ნ: _____ მის: _____ ტელ: _____</p>